

**ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები  
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დოკუმენტზე  
“საქართველოს სატყეო პოლიტიკა”**

**ზოგადი კომენტარები:**

აუცილებლად უნდა იყოს აღინიშნული, რა პერიოდზეა გათვლილი ეს დოკუმენტი. ალბათ შესაძლოა ეს გაკეთდეს იმ ნორმატიული აქტის ტექსტში, რომლითაც დამტკიცდება ეს დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა 2 წლის მერე თქვას მთავრობამ, რომ რაღაც მოსაზრებით პოლიტიკა შეიცვალა და სხვა ხედვა აქვს ტყეების მართვასთან დაკავშირებით.

აუცილებლად მიგვაჩნია, რომ დაემატოს პარაგრაფი საზოგადოების მონაწილეობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების შესახებ.

**შენიშვნები და კომენტარები პარაგრაფების მიხედვით:**

**შესავალი**

**შენიშვნა:**

1 აბზაცი - დღეისათვის არის ბიომრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილი

**კომენტარი:**

ცხელი წერტილების გამოყოფა ხდება ბიომრავალფეროვნების ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული საფრთხეების გათვალისწინებით. ამ ფრაზით დოკუმენტის დაწყება მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ესმის თავისი ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ტყეების მნიშვნელობა, რაც ძალიან კარგია. შესაბამისად, პოლიტიკის მიზანი და ამოცანები ამ საფრთხის შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული.

**§1 პრობლემის წინასწარი დახასიათება**

**შენიშვნა:**

**აბზაცი 4. არაადეკვატური საკანონმდებლო ბაზა** – დეფინიცია “მეტისმეტად მკაცრი” დაზუსტებას მოითხოვს და საკამათოა, ზოგმა შეიძლება თქვას, რომ არის “მეტისმეტად რბილი”. ამ კონტექსტში უკეთესია შემდეგი ფორმულირება: “მოქმედი ნორმატიული ბაზა წინააღმდეგობრივია”

**კომენტარი:**

პარაგრაფის ბოლოს მნიშვნელოვანია აღინიშნოს, შემდეგი: “ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სატყეო სექტორში კორუფციამ და უკანონო ქმედებებმა კატასტროფული მასშტაბები მიიღეს, რის შედეგადაც დეგრადირდა საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი. ოფიციალური მონაცემებით, ტყეების სიხშირე კრიტიკულ დონეზეა საქართველოს ტყეების ნახევარზე მეტ ფართობზე”.

**§2 სატყეო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები**

**ციტატა:** “სატყეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ტყის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციებიდან საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებელის მიღება წარმოადგენს”.

**კომენტარი:**

ასეთი მიზანი არ არის გამართლებული და წინააღმდეგობაში მოდის ქვემოთ ჩამოთვლილ სამ პუნქტთან. მაგ. რა ხდება, თუ ეკონომიკური ფუნქციიდან მეტი მაქსიმალური სარგებლის მიღება შეიძლება, ვიდრე ეკოლოგიურიდან? პოლიტიკის მიზანში უნდა იყოს ცალსახად ფორმულირებული, რა არის პრიორიტეტი, სარგებელი თუ მდგრადი გამოყენება და კონსერვაცია.

განსახილველ დოკუმენტში მოცემული მიზანი არ ყოფილა არც ერთ აქამდე გამოტანილი პოლიტიკის დოკუმენტის პროექტში. ან უნდა დარჩეს ძველი ფორმულირება<sup>1</sup>, ან გთავაზობთ შესათანხმებლად ქვემოთ დასახელებულ ორ ვარიანტს:

### 1 ვარიანტი:

#### სატყეო პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს:

- ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების დაცვა და მაქსიმალური შენარჩუნება;
- ტყეების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება გრძელვადიანი სარგებლის მიღების გათვალისწინებით;
- ტყეების სოციალური ფუნქციების განხორციელება.

### 2 ვარიანტი:

#### სატყეო პოლიტიკის ძირითად წარმოადგენს ტყის მდგრადი გამოყენებისა და შენარჩუნების საფუძვლების შექმნა. ამაში იგულისხმება:

- ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების დაცვა და მაქსიმალური შენარჩუნება;
- ტყეების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება გრძელვადიანი სარგებლის მიღების გათვალისწინებით;
- ტყეების სოციალური ფუნქციების განხორციელება.

ციტატა: “ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად გადაჭრილი უნდა იქნას შემდეგი ამოცანები:

- ტყის მდგრადი მართვის საერთაშორისო სტანდარტების (FSC) დამკვიდრება;”

**შენიშვნა:** ალბათ ამოსაღებია “FSC” ამ ადგილას. შემდეგ თავში ისედაც არის ლაპარაკი, რომ სწორეს FSC სტანდარტს ვირჩევთ და არა სხვა რომელიმე საერთაშორისო სერტიფიცირების სისტემას, ამიტომ აქ მითითება ზედმეტია, ან ახსნა სჭირდება.

**კომენტარი:** არ ჩანს ამოცანა, რომლის შესრულებაც ხელს შეუწყობს ტყეების კონსერვაციას, რაც ასახულია მიზანში (იხ. პირველი ბულიტი). ამიტომ სასურველია დაემატოს შესაბამისი ამოცანა მაგ. ასეთი ფორმულირებით:

- დაცული და დაცვითი ტყეების გამოყოფა და მათი კონსერვაციის უზრუნველყოფა

### §3 ტყის ფონდის ტერიტორიების საპატივებისა და მართვის (სარეგულაციის) ფორმები

**შენიშვნა:** არ ჩანს ავტონომური რესპუბლიკები როგორ მართავენ.

<sup>1</sup> სატყეო პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ტყის არსებული ფართობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება და მართვა მდგრადი პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს:

**ციტატა:** "სახელმწიფო ინსტიტუციისათვის ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება უსასყიდლოდ ნებადართული იქნება ტყის ფონდის ნებისმიერ ტერიტორიაზე."

**შენიშვნა:** გაუგებარია, არასახელმწიფოსთვის ფასიანი იქნება სამეცნიერო კვლევა? ამასთან, პარაგრაფს საკუთრების ფორმებთან რა საერთო აქვს?

**შენიშვნა:** ბოლო აბზაცში ჩაემატოს და იქნება შემდეგი რედაქციით:

სატყეო ფონდის ტერიტორიების საკუთრებისა და მართვის ფორმების მიუხედავად სატყეო პოლიტიკის განხორციელებას კოორდინაციას უწევს და ტყით სარგებლობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მიუხედავად საკუთრებისა და სარგებლობის ფორმისა, ტყის რესურსების მართვა დაფუძნებული იქნება ეკოსისტემურ მიდგომაზე.

**კომენტარი:**

ამ თავის ასეთი ფორმულირება უფრო სტრატეგიის დოკუმენტის ფორმატს შეესაბამება, ვიდრე პოლიტიკისა, მაგრამ შესაძლოა დღეს არსებულ სიტუაციაში მისაღები იყოს და უკეთ "იბუშაოს". თუმცა ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მნიშვნელოვანია დოკუმენტში აღნიშნული იყოს, რა პერიოდზე არის ის გათვლილი. მით უმეტეს, სამინისტროს დასახელება შეიძლება შეიცვალოს, ან სამინისტრომ რეორგანიზაცია განიცადოს. ამიტომ მიზანშეწონილია სამინისტროს დასახელების ნაცვლად პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებული იყოს "სახელმწიფო" ან "მთავრობა" ან "მთავრობის უფლებამოსილი ორგანო".

#### **§ 4 მონიტორინგი და კონტროლი ტყის დაცვის კანონმდებლობის აღსრულებაზე**

**კომენტარი:**

ეს თავი საჭირო ინფორმაციას შეიცავს და წარმოდგენას ქმნის, რა გეგმები აქვს სამინისტროს, მაგრამ მთლიანად ამ დოკუმენტის ფორმას არ შეესაბამება.

სასურველია ზოგიერთი ნაწილი გადავიდეს §9-ში, ნაწილი შესავალში, კი განმარტებით ბარათში: აბზაცი გადავიდეს შესავალში, 2,3 – მე-9 პარაგრაფში, 4,5,6,7 - განმარტებით ბარათში.

#### **§6 სოციალური საკითხები**

**შენიშვნა:**

ზოგადად, ტყის სოციალური ფუნქცია გამოხატულია ორი სახით: ტყეები იძლევა დასაქმების საშუალებასა და რეკრეაციული ფუნქციებით სარგებლობის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე ამ თავში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაემატოს:

- ✓ სახელმწიფო უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სატყეო სექტორში და სატყეო მრეწველობაში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებას;
- ✓ სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის რეკრეაციული რესურსებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას. შეიზღუდება ტყეების სამეურნეო გამოყენება ადამიანების საცხოვრებელი ადგილების უშუალო სიახლოვეს, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ტყეებში.

ბოლო სამი აბზაცი სასურველია გადავიდეს განმარტებით ბარათში, ვინაიდან ეს არ არის “პოლიტიკის” ფორმატი.

**კომენტარი:**

რაც შეეხება ამ ნაწილის შინაარსს, გაუგებარია, ადგილობრივი მოსახლეობის საშეშე და სამასალე მერქნით დაკმაყოფილება მხოლოდ ადგილობრივი ტყეების ხარჯზე მოხდება? თუ ასეა, ძალზე სახიფათოა და ძალიან მოკლე პერიოდში ამ ტყეების (800 000 ჰა) სრულ განადგურებას გამოიწვევს. ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები საკმაოდ დეგრადირებულია და ვერ შეძლებენ მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. თანაც რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რაიონის ან სოფლის გარშემო არ არის ადგილობრივი ტყეები ან ამ ტყეებში არ არის მერქნის მარაგი? მერქნის მოპოვება მოხდება მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისი ოდენობით, თუ ტყის მარაგებისა და ბუნებრივი შემატების შესაბამისი მოცულობით?

**კომენტარი:**

განხილული დოკუმენტიდან გაურკვეველია, მართვაში ეძლევა თვითმმართველობას ტყე. თუ საკუთრებაში? (ისევე როგორც საპატრიარქოს). “ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2007 წლის 23 მაისის დადგენილების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ტყის ფონდი გადაეცემათ **საკუთრებაში**. ასევე წინააღმდეგობაში მოდის “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონთან (2005).

**§7 ეკოლოგიური საკითხები**

**შენიშვნა:**

I აბზაციდან უნდა ამოღებულ იქნეს ფრაზა “გარემოს დაცვის თვალსაზრისით” თუ ეს ფრაზა არ ამოვიღეთ, გამოდის, რომ ეკონომიკური სარგებელი, ან სხვა რამაა ძირითადი მიზანი. მეორეც ენობრივადაც არ არის გამართული: “ძირითადი მიზანი დაცვის თვალსაზრისით.. დაცვაა” სასურველია, რომ ეკოლოგიური საკითხები უფრო წინ იყოს დოკუმენტში, ვიდრე ეკონომიკური.

მესამე და მეოთხე აბზაცს შორის დაემატოს:

სახელმწიფო პრიორიტეტად აცხადებს დიდი ხნოვანებისა და მალალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების შენარჩუნებას. ეს პრინციპები უზრუნველყოფილი იქნება როგორც დაცული ტერიტორიების შექმნით, ისე სამეურნეო ტყეებში დაცვითი რეჟიმების დაწესებით ასეთი კორომების არეალში.

ბოლოსწინა აბზაცი გაუგებარია; გთავაზობთ შემდეგ რედაქციას:

“ტყის მართვის მეთოდებმა ხელი უნდა შეუწყოს ბუნებრივ პროცესებს, ეკოსისტემების მთლიანობას, მათი ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნებასა და ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტის კონსერვაციას”.

ბოლო აბზაცი სასურველია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სახელმწიფოს შეზღუდავს ტყის რესურსების გამოყენებას, ან სხვა ღონისძიებებს, რომელიც ემუქრება ბუნებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეებს.

**§8 ბანათლევისა და მცენიერების საკითხები**

**შენიშვნა:**

2 და 4 აბზაცი სასურველია გადავიდეს განმარტებით ბარათში  
**კომენტარი:**

სასურველია სატყეო პოლიტიკაში განისაზღვროს, რომ სატყეო სფეროში დასაქმებული კერძო სექტორის წარმომადგენლების სტიმულირება, ან დავალდებულება მოხდება, რათა ისინი დაეუფლონ ტყეებთან დაკავშირებულ აუცილებელ მინიმალურ ცოდნას, მაგ. ისევე როგორც ესტონეთშია.

**§9 სახელმწიფოს როლი ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფაში**

**შენიშვნა:**

სასურველია დაემატოს:

1. ხელშეწყობის ფუნქციას - საზოგადოების ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის ხელშეწყობა
2. მონიტორინგის ფუნქცია-პარაგრაფი 4-დან

**§10 სამართაშორისო თანამშრომლობა**

**შენიშვნა:**

დოკუმენტში საჭიროა გაიშიფროს აბრევიატურები - MCPFE, ENP, ENA-FLEG და ა.შ.

**კომენტარი:**

ამ თავის შინაარსი არ შეესაბამება სათაურს. აქ უფრო საქართველოს სატყეო პოლიტიკის პრინციპებზეა საუბარი, ვიდრე საერთაშორისო თანამშრომლობაზე.

**დასკვნები**

**შენიშვნა:**

სასურველია შემდეგი რედაქცია (I აბზაცი):

“წინამდებარე დოკუმენტში ჩამოყალიბებული სატყეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება ერთმნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სატყეო სექტორის ინსტიტუციური მართვის სისტემის გაძლიერებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება სატყეო სექტორის მდგრადი განვითარება. კერძოდ, ქმედითი მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყის კორომების დაცვა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და აღსრულების მექანიზმების შემუშავების გზით, უზრუნველყოფს ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება-გაუმჯობესებას და სხვა.”

სასურველია დასკვნით ნაწილში, ან ნორმატიულ აქტში, რომლითაც დამტკიცდება ეს დოკუმენტი, დაემატოს, რომ ამ დოკუმენტის საფუძველზე თანამიმდევრულად მოხდება: (ან პარლამენტი ავალეს სამინისტროს)

- 1) საქართველოს ტყეების მდგრადი გამოყენების სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის შემუშავება;
- 2) ახალი ტყის კოდექსის შემუშავება;
- 3) კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

**სხვა წინადადებები და კომენტარები:**

ა.წ. თებერვალში ჩვენმა ორგანიზაციამ მოგაწოდათ შენიშვნები და წინადადებები დოკუმენტზე “საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია”. ამ შენიშვნებიდან გარკვეული ნაწილი გათვალისწინებულია. ჩვენი ერთ-ერთი წინადადება იყო ცალკე ქვეთავად გამოყოფილიყო “ტყის როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში”. განსახილველად გთავაზობთ შემდეგ რედაქციას:

### **“ტყის როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში”**

სახელმწიფო აცნობიერებს ტყის კულტურულ და სულიერ ფასეულობებს. ამის დასტურად ცდილობს ქვეყანაში არსებული ტრადიციული მიდგომები განამტკიცოს პოლიტიკის და კანონმდებლობის დონეზე. ამ მიზნით შესაძლებელია:

- ✓ ტყეები სამართავად გადაეცეს საქართველოს კონსტიტუციითა და კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულ სუბიექტებს;
- ✓ შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს ტყით სარგებლობა კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირსშესანიშნავ ადგილებში: ხუროთმოძღვრული ძეგლების, არქეოლოგიური სანახების, ტრადიციული ხატის ტყეების არეალებში და სხვ;
- ✓ ასეთი ადგილები მოექცნენ სხვადასხვა ტიპის დაცული ტერიტორიების ფარგლებში და/ან გამოცხადდნენ კულტურულ მემკვიდრეობად

### **აუცილებლად მიგვაჩნია, რომ დაემატოს პარაგრაფი საზოგადოების მონაწილეობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების შესახებ**

განსახილველად შემოთავაზებული ვარიანტი:

### **“საზოგადოების მონაწილეობა სატყეო პოლიტიკის გატარებაში”**

სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოების კონსტიტუციურ უფლებას მიიღოს აქტიური მონაწილეობა ტყეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

ამ მიზნით მოხდება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის, გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება, რაც გულისხმობს:

- სატყეო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას
- საზოგადოებასთან კონსულტაციებს ტყის მართვის ყოველი კონკრეტული მექანიზმის მიღებამდე/დამტკიცებამდე, საჯარო განხილვების გზით
- დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მონიტორინგის სტიმულირებას
- მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ტყის მდგრადი მართვის საკითხებში საგანმანათლებლო კამპანიის წარმოებას

12 ივნისი 2007 წელი